№ 194 სექტემბერი 19, შაბათი 1887 სექტემბერი 19, შაბათი № 194

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . | 10 | — | 6 . . | 6 | — |
| 11 . . | 9 | 50 | 5 . . | 5 | 50 |
| 10 . . | 8 | 75 | 4 . . | 4 | 75 |
| 9 . . | 8 | — | 3 . . | 3 | 50 |
| 8 . . | 7 | 25 | 2 . . | 2 | 75 |
| 7 . . | 6 | 50 | 1 . . | 1 | 5′ |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-მეჩეთის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. [illegible] საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და [illegible] წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ოცი კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

კნეინა ნინა ხირიფხის ასული შერვაშიძისა, მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფიანი, მარიამ ალექსანდრეს ასული შეშელიოვისა, კნ. ეკატერინე ალექსანდრეს ასული წულუკიძისა და თ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე შერვაშიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი—ასულისა თვისისა, მეორე—მეუღლისა და დანარჩენნი—დისა თვისისა, ელისაბედ ალექსანდრეს ასულის ყიფიანისას, ქალაქ სემიპალატინსკს და მოსვენებასა ცხედრისასა ამ თვის 18 სოფელს ქვიშხეთში, საცა მიცვალებულის გვამს დაასაფლავებენ 20 სექტემბერს. ჰირისუფალნი სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა, მობრძანდნენ ზემოხსენებულს სოფელში განსვენებულის დასაფლავებაზე დასასწრებლად. (3—2)

### ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა

აუწყებს, რომ ვისაც მომავალ სეზონისათვის დრამატიულ დასში შემოსვლა ჰსურს, მიჰმართოს საზოგადოების მდივანს, ბ-ნ ვასილ სულხანაშვილს, ენკენისთვის 20-მდე, კუკიაში, რეუტის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში, N-ი მე-10-ე, დილაობით (დღესასწაულების გარდა) 10 საათ. 12-მდე. (3—3)

„ქართულის დრამატიულის საზოგადოების“ მმართველობა სთხოვს საზოგადოების წევრებს მობრძანდნენ **საზოგადოების წლიურ კრებაზე, კვირას, 27 ენკენისთვეს, დილის ათს საათზე**, ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის სადგომში, რათა მოისმინონ წარსულის წლის ანგარიში, მომავალის წლის სავარაუდო ანგარიში და აირჩიონ ახალი წევრები.

ტფილისი, 18 სექტემბერი

ამას წინად დეპეშამ გვაცნობა მეტად დიდის მნიშვნელობის ამბავი მასზედ, რომ საფრანგეთისა და გერმანიის სამზღვარზე გერმანელ ტყის-მცველებმა დასჭრეს საფრანგეთის ერთი ჯარის-კაცი და მოჰკლეს ერთიც დრაგუნის აფიცერიო. ეს ამბავი საგულისხმოა, რადგანაც იგი მაჩვენებელია, თუ რა ხასიათისა და თვისებისაა ორ დიდ სახელმწიფოთა შორის განწყობილება... შესაძლოა ამის გამოისობით კიდევ უფრო დაიხლართოს, გაძნელდეს გერმანიისა და საფრანგეთის საქმეები და მათთან ერთად მთელის ევროპის საქმეთა მსვლელობაც. ეს მტრული განწყობილება, რომელიც დღემდის ორთავე სახელმწიფოთა საზოგადოებასა და მწერლობაში ჰტრიალებს, ჰღვივის და თან-და-თან მატულობს, ამ სახელმწიფოთა სამზღვარზე თავს იჩენს და მწვავდება.... ჯერ შნებელეს საქმემ რამდენი მიწერ-მოწერა გამოიწვია დიპლომატიაში და ცხარე და ნაღვლით სავსე ბაასი ასტეხა მწერლობაში; შემდეგ შნებელეს შვილის დატუსაღება გერმანელ მოხელეთა მიერ და ამის შემდეგ კიდევ ჯარის-კაცის დაჭრა და აფიცრის მოკვლა. ამ გვარი სამწუხარო ამბები თან-და-თან ხშირდება იმ სამზღვარზე, რომელზედაც პირის-პირ ერთმანერთს შეჰყურებენ ორნი ძლიერნი შეუბრალებელნი მტერნი, განმზადებულნი ყოველს წამს ერთი-ერთმანერთს უპირატესობა ჩამოართვან და სამუდამოდ შეჰმუსრონ ერთი-ერთმანერთი...

ცხადია, რომ იგი სამწუხარო ამბები უბრალო შემთხვევისა და მოსამზღვრე დარაჯების გაუფრთხილებლობის ბრალი-კი არა, არამედ იმ პოლიტიკურის განწყობილების ბრალია რომელიც ამ სახელმწიფოთა შორის დამკვიდრებულა. ამ ამბების ზედი-ზედ განმეორება, გახშირება, იმას გვეუბნება, რომ ეს მტრული განწყობილება დღითი-დღეზე მატულობს. მართლადაც, ყოველი ნაბიჯი საფრანგეთისა სულსა და გულს უშფოთებს გერმანიასა და ამ უკანასკნელის საქციელი-კი მოსვენებას არ აძლევს საფრანგეთს.

შესანიშნავი ის არის, რომ ამ სამწუხარო ამბების მიზეზი თვით გერმანიაა; თვითოეულს ზემოდ მოხსენებულს შემთხვევაში გერმანია ჰხმარობს ძალ-მომრეობას, შეურაცხ-ჰყოფს ხოლმე საფრანგეთის ქვეშევრდომთ, ასახიჩრებს და ჰკლავს მათ, რასაკვირველია, გერმანიას საბუთი აქვს, თვალ-ყური ადევნოს საფრანგეთის ქვეშევრდომთ, რადგანაც, როგორც ნამდვილად ცნობილია, ისინი ელზას-ლოტრენში აღვიძებენ გერმანიისადმი უმადურებას და აცხოველებენ მიზიდულებას საფრანგეთისადმი, მაგრამ ეს ისეთი საბუთი არ არის, რომ გერმანიას შეეძლოს ხელი შეახოს, შეურაცხ-ჰყოს საფრანგეთის ქვეშევრდომნი და თოფ-იარაღი დაუშინოს მათ... ამ საშუალებით გერმანია ვერც ელზას-ლოტარენის გულს მოიგებს და საფრანგეთს კიდევ უფრო გადაიკიდებს, მტრულს გრძნობას გაუძლიერებს, გაუცხოველებს, და მიიახლოვებს იმ დროს, როდესაც საფრანგეთმა სამაგიერო უნდა უზღოს გერმანიის თავ-გასულს პოლიტიკას. ამ უკანასკნელ ხანებში გერმანია თან-და-თან მომეტებულად შფოთავს და ბრჭყალებს ილესავს. ეს მტრული გრძნობა კიდევ უფრო გაცხოველდა მობილიზაციის შემდეგ, როცა გერმანია გულის-ძგერითა და დიდის შიშით შეჰყურებდა საფრანგეთის სამხედრო ძალ ღონეს, და ამ გულის ძგერასა და მტრულს გრძნობას მოჰყვა საფრანგეთის ქვეშევრდომთა დაჭრა და მოკვლა. იმედია, რომ ეს ამბავი გაცხარებულ მიწერ-მოწერას გამოიწვევს დიპლომატიაში და ორთავე სახელმწიფოთა მწერლობას საბაბს მისცემს, ერთმანერთს მელნის ომი გამოუცხადონ.

ბოლგარიის საქმე კიდევ იმავ აწეწილს მდგომარეობაშია. ვერც დიპლომატიურმა მიწერ-მოწერამ, ვერც ბისმარკისა და კალნოკის მოლაპარაკებამ ფრიდრიხსრუეში ვერ გადასწყვიტა ეს დაუბოლოვებელი საქმე, და ცხადიც არის, რომ არც ასე მალე და ვერც ისე მშვიდობიანად დასრულდება, როგორც ეს ზოგთათვის სასურველია. გერმანია, როგორც ვიცით, რუსეთს შეჰპირდა, ბოლგარეთის საქმეში შენ მოგემხრობიო, რადგანაც შენ გეკუთვნის უპირატესობა სლავიანთა სახელმწიფოთა საქმეებშიო და მაშასადამე ბოლგარეთისაშიაცაო, მაგრამ ყველანი, ვინც ცოტათი მაინც თვალს ადევნებს საზოგადოდ პოლიტიკის მსვლელობას და კერძოდ გერმანიისას, იმ აზრისანი არიან, რომ გერმანია უფრო საკუთარსა და ავსტრიის ინტერესებს მისდევსო. მართლაც ასე უნდა იყოს, რადგანაც ერთის მხრით რუსეთისა და მეორეს მხრით გერმანიისა და ავსტრიის ინტერესები ერთი-ერთმანერთის სრულიად წინააღმდეგნი არიან. რაც მეტს თვალ-ყურს ვადევნებთ პოლიტიკასა და დიპლომატიასა, მით უფრო ვრწმუნდებით, რომ იგი აზრი იმოდენად მართალია, რომ მასზე ეჭვის აღებაც შეუძლებელია. აი უკანასკნელნი ცნობანი შესახებ ბოლგარეთის საქმისა. იმ მოლაპარაკების გამო, რომელიც ფრიდრიხსრუეში მოხდა, გვაუწყებენ, ვითომ ბისმარკმა და კალნოკიმ დაადგინეს, რუსეთს ხელი მოვუმართოთ ბოლგარეთშიო. იმაზე-კი არაფერს ამბობენ, თუ რა საშუალებით უნდა დაეხმარონ რუსეთს; თან იმასაც იუწყებიან, რომ კალნოკი ძალიან კმაყოფილი დაბრუნდა ვენაშიო.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

* * * შემოდგომა დაგვიდგა და მეცხვარეებმა დაიწყეს ცხვრის ჩამორეკა მინდვრებისაკენ. კახეთისა და ქიზიყის ცხვარი ვერ ასცდება ხოლმე ტფილისზე გავლას, და ამიტომ დღეს დიდი ჰაპან-წყვეტაა მნაცაკანოვის ხიდზე, სადაც უნდა გადიაროს ცხვარმა მტკვარი. გუშინ-წინ ნორიელებმა გაატარეს თავიანთი ფარაები, დღეს გარეჯელებს გაჰყავთ, მაგრამ ვაი იმ გაყვანას. მოადგება თუ არა მნაცაკანოვის ხიდს ცხვრის ფარა, დაიწყობა ჯერ ერთი ხანგრძლივი ვაჭრობა მეცხვარეთა და ხიდის ყარაულთა შორის, რომ ნარდად გაატარონ ცხვარი, დაუთვლელად. მეცხვარენი ცოტას იძლევიან, ყარაულები ბევრსა თხოულობენ. ვერ მორიგდებიან ნარდად და მაშინ დაიწყებენ თითო-თითოდ ცხვრის თვლასა. ფარაში რამდენიმე ათასი სული ცხვარია, და მოდი და შენა და თვალე. სამი-ოთხი საათი იმოდენა ცხვარი შემწყვდეულია და ერთი ბღავილი და საცოდაობაა. ამასობაში მოაწყდებიან ახლა სხვა მეცხვარეები თავიანთის ფარაებით, დაიწყობა ისევ ისეთი წარღვნის დროინდელი წესი ცხვრის სათითაოდ ჩათვლისა. ცხვარი შეწუხებულია, მეცხვარენი გულ-აღრენილად უყურებენ ამ საცოდაობას და, რასაკვირველია, უბრალო ნაპერწკალი საკმარისია, რომ გაბრაზებული მეცხვარე და ყარაული შეეტაკნენ და ერთმანერთს ფერდები ჩაალეწონ. ლანძღვა-გინება ხომ დილიდამ საღამომდის განუწყვეტელია, თითქო ყიზილბაშობაა აქ და არა მშვიდი მშრომელი ხალხიო.

ეს ამდენი ხანია მუშაობს მნაცაკანოვის ხიდი, და აქამდის ერთი ჰკვიანური წესი ვერ შემოიღეს, რომ არც ცხვარი შეაწუხონ, არც მათი პატრონი და არც ხიდის ყარაულები. ამას ერთი მოწადინების მეტი-კი არა დასჭირდება-რა იმის მხრივ, ვისიც ჯერ არის.

* * * მირზოევისეულ ფაბრიკაში გატეხილა ერთი უმთავრესი ნაწილთაგანი მაშინისა, სახელდობ „შკივი“. ამის გამო ეს ორი დღეა, ფაბრიკაში მუშაობა შეყენებულია და მუშები უსაქმურად არიან.

* * * იუსტიციის მინისტრი, ბ-ნი მანასეინი, ამ ჟამად ტფილისში იმყოფება. გუშინ, დილის 10 საათზე, ოლქის სასამართლოს წინ, ბულვარზე, მრავალი ხალხი მოგროვილიყო ბ-ნ მინისტრის დასანახავად. მათში ბევრნი სასამართლოს მოხელენიც შეკრებილიყვნენ, მაგრამ მომეტებული ნაწილი-კი გარეშე კაცნი იყვნენ. ბ-ნმა მინისტრმა გუშინვე დაათვალიერა ხსენებული სასამართლო.

* * * რკინი-გზით მისვლა-მოსვლა ბაქოსა და ტფილისს შუა 17 ენკენისთვიდამ შეჩერებულია იმ დრომდე, ვიდრე არ შეაკეთებენ გზის ლიანდაგსა, რომელიც 16 სექტემბრის ნიაღვარმა ბევრგან დააზიანა. ნიაღვარი საშინელის ძალით მოვარდა აჯი-ქაბულის სადგურთან და რამდენსამე ადგილას სულ ერთიან მოჰგლიჯა და მოიტაცა მიწა, რელსები და შპალები.

* * * რუსულ გაზეთებში ნაამბობი იყო, რომ რიონის სადგურს ახლოს მიმავალ რკინი-გზის მატარებლიდამ გადმოაგდეს ავაზაკებმა ვილაც კაცი. მაზედ ჩვენი კორრესპონდენტი გვატყობინებს, რომ ამ კაცს წაართვეს ოცი მანეთი და დასჭრესო.

* * * ქუთაისში მესამე აფთიაქის გახსნის ნება-რთვაზე გვწერენ შემდეგსა:

გუბერნიის ექიმს ბ-ნ ტირიუტინს მართლა მიუცია ნება-რთვა ვილაც ბ-ნ რელიგიანისათვის ქუთაისში აფთიაქის გახსნისა. ქალაქის თავმა მიჰმართა ქაღალდით ექიმსა და ჰკითხა, მართალია ეს ხმები, თუ არაო? იმან უპასუხა, რომ მართალია და უნდა მოგახსენოთ, რომ თვით ცოდნის და პატიოსნების ბუდეა ის ყმაწვილიო.

მაშინ ქალაქის თავმა მოახსენა ბ-ნ გუბერნიის უფროსს, რომ ჩვენ ორჯელ თუ სამჯერ ვთხოვეთ მთავარ-მართებელს — ნება მიეცა ქალაქისათვის მესამე აფთიაქის გახსნისა და კიდევაც წარვადგინეთ ამ ადგილზე ღირსეული კაცი, ბ-ნ კანდელაკი. ყოველთვის უარი მოგვდიოდა, რადგან კანონით ათი ათასს სულზე შეიძლება მხოლოდ თითო აფთიაქიო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

(გაჯავრობა ასის წლის მოხუცისა)

სოფ. თათრის სოღანლუხი (ტფილისის მაზრა), 7 სექტემბერი. სოღანლუხში სცხოვრებს ერთი მდიდარი თათარი, სახელად აჯი-ყურბან-ხალილ-ოღლი. აჯი-ყურბანა წინად, როდესაც გამოვიდა ტფილისში, ისეთი ღარიბი იყო, რომ აბანოში მეფუფუთედ დადგა. შემდეგ თავისის ბზენეობით და მოხერხებით გამდიდრდა ყველაფრით. ეხლა ფულიც ბევრი აქვს, საქონელიც, ცხვარიც, ცხენის ჯოგიცა და სხვა. აჯი-ყურბანა, როგორც თითონ ამბობს, ასის წლის კაცი იქნება, მაგრამ ისეთი ყოჩაღია, რომ თითქმის ბევრი ახალგაზდა კაცი დაჰნატრის იმის სიმარდესა. ჯერ სიბერე და ჯანნაკლებობა თითქმის არც-კი ეტყობა. ამასა ჰყავს ეხლა სამი ცოლი, მეოთხე მოუკვდა. შვილებითა და შვილის-შვილებით სავსეა. იყო შემთხვევა, რომ ერთმა შვილის-შვილმა მეორე შვილის ქალი შეირთო ცოლად. როგორც თითონ მელაპარაკა, აჯი-ყურბანას განზრახვა აქვს, ერთი ოცის წლის ქალი შეირთოს მეხუთე ცოლად. აჯი-ყურბანას ძალიან მტკიცედ უჭირავს თავისი რჯული და ლოცვის მოყვარული კაცია, ასე რომ არასოდეს არ დააკლებს ლოცვას, დილით, შუა-დღისას და საღამოთი. აგრეთვე თავიანთ მარხვას ძალიან წმინდად ინახავს და უიმისოდაც საჭმელსა და სასმელს მაგრე რიგად არ ეტანება. როდესაც შინ არის, ერთს წამს ვერა ჰნახავთ უსაქმურად, სულ მუშაობს და აკეთებს რასმე, თუ სტუმარი მოუვიდა, გული ვერ მოუთმენს, რომ თავის ხელით არ მიართვას საჭმე-

ლი. აჯი-ყურბანას აგებულობა ძალიან სუსტი აქვს, გამხმარი და გაშავებული პირის-სახე, მაგრამ კბილები ჯერ არც-კი აკლია. ამ მოხუცს იმედი აქვს, რომ კიდევ დიდხანს ვიცოცხლებო. აქედამ გადავიდეთ ეხლა იმ ვაჟკაცობაზე, რომელიც გამოიჩინა ამ შესანიშნავმა მოხუცმა.

აჯი-ყურბანას ამ თვეის შვიდში შემდეგი ამბავი შეემთხვა. სალამოთი, რვა საათზე, იმ დროს, როდესაც სალამოს ლოცვაზე იდგა თავის სახლში, პატარა შვილის-შვილმა შეატყობინა, რომ ვიღაც თორმეტი ცხენოსანი შეიარაღებული კაცი შემოვიდა პირდაპირ ეზოში და შენა გკითხულობენო. აჯი-ყურბანა მაშინადვე მიუხვდა, რომ ისინი საკეთილოდ არ მოვიდოდნენო. ამ დროს რამდენჯერმე ზედი-ზედ გავარდა თოფი. უთუოდ იმ აზრით ისროდნენ, რომ აჯი-ყურბანას შეეშინდება და თავისის ნებით დაგვითმობს, რაც ფული ანუ ვერცხლეულობა აქვსო. მაგრამ აჯი-ყურბანამ ლოცვას თავი დაანება, საქილე გადიგდო გვერდზე, პიბოდის თოფს ხელი მოავლო, ახსენა თავის რჯულზე ღმერთი და გამოვარდა კარებზე; ამოუჯდა მისაფარავს და იქიდგან დაუწყო სროლა. ეს თორმეტი დაიარაღებული ავაზაკი ცხვრებივით დაილალა ერთმა კაცმა და სოფლის ბოლომდინ გააცილა. მეზობლებს თუმცა ესმოდათ თოფის ხმა, მაგრამ ყველამ კარები ჩაიკეტა და გარედ გამოსვლა ვერ გაბედეს. აჯი-ყურბანას შვილები იმ დროს შინ არ იყვნენ. მხოლოდ ერთი პატარა ვაჟი და ერთიც მოჯამაგირე იყო შინ და ისინიც ავაზაკებს მისვლისათანავე დაეჭირათ ეზოში და მიებათ ბოძზე.

მეორე დღეს ნახეს სისხლის კვალი იმ ადგილებზე, სადაც ავაზაკებმა გაიარეს; ხოლო ჯერაც ვერ შეუტყვიათ, დაჭრილის კაცისაა ის კვალი, თუ ცხენისა. ავაზაკებმა რომ ვეღარა წაართვეს-რა აჯი-ყურბანას, ამ სოფლიდგან ოთხს ვერსტზე, ძველის იაღლუჯის ნაფოსტარის ახლო, დაეცნენ დუქანს და, რაც რამე იპოვებოდა, ყველაფერი წაიღეს, თუ ფული და თუ სხვა საქონელი. აგრედვე გაცარცვეს იქვე მდგომი მეფურგუნეები, ქალაქისკენ მომავალი მეურმეები და დედაკაცები, —რაც ჰქონდათ, ყველაფერი წაართვეს და არხეინად პირდაპირ თაქლასთან გადავიდნენ მტკვარში.

ეს ამბავი შეიტყო მეორე დღეს ზემო მაზრის უფროსმა. მაშინადვე დისტანციის უფროსი ბ-ნი გაბარაშვილი რამდენისამე ჩაფრით გაგზავნა იმ ავაზაკების დასაჭერად. გაბარაშვილმა კვალი პირდაპირ თაქლაში მიიტანა. იქ დახვდა ადგილობრივი ბოქაული, ბ-ნი ნაცვლიშვილი. როგორც გაცარცულებმა აჩვენეს ნიშნები ავაზაკებისა, იმ გვარ ნიშნის კაცები და აგრედვე სხვანი საეჭვონი დააყენეს მწკრივად და გაცარცულ მედუქნესა და მეფურგუნეს აჩვენეს. ამდენს ხალხში იცნეს თავიანთ გამცარცველად ორი კაცი, თაქლაში მცხოვრებელი: შარიფ-მაჰმედ-ოღლი. და მაჰმედ-ჰუსეინ-მაჰმედ-ოღლი. ორსავე თათარს შეუდგინეს განჩინება და გადასცეს გამომძიებელს. გამომძიებელმა, ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ, მეტეხის საპყრობილეში გაგზავნა. დანარჩენ ავაზაკების აღმოსაჩენად პოლიციის მიერ ჯეროვანი ზომიერებაა მიღებული. იმედია, რომ იმათაც მალე დაიჭერენ.

მგზავრი

## წერილი ქუთაისიდამ

ვზივარ სალამო დროს ჩემთვის ოთახში და ვფიქრობ, თუ რა საგანი გამოვძებნო საბაასოდ. სწორედ გამიჭირდებოდა, თუ რომ ჩემი ლამპარი არ მომშველებოდა და არ მიეზიდა ჩემი ყურადღება. იგი ჰკრთის და ცმუტავს, თითქოს სიცოცხლით სავსე იყოს. ვითარცა გაზეთის მოამბე, ვალდებული ვარ ყველაფერს გამჩხრეკის თვალით დავუკვირდე, ყოველ მოვლენას თვალი მოვკრა, განვმარტო იგი, და თუ საინტერესოდ მივიჩნიე, გამოვაქვეყნო კიდეც, თუ არა და—დავივიწყებას მივცე. ეს ვსთქვათ ასეა, მაგრამ ლამპარს აქ რა ხელი აქვს, ნება გაქვთ მკითხოთ, რა საზოგადო საგანი რამ არის ლამპარიო? როგორ არა; ერთი რომ ლამპარი ანათებს, ანათებს ისეთ ნაირად, რომ კიდევაც გაგვანათლა. ყოველის გლეხის ოჯახში იპოვით ეხლა ლამპარს. მარტო მისი გავრცელება რომ ავიღოთ, ისიც საკმაოდ საყურადღებოა; თვით ჩემის ლამპარის ცანცარსაცა აქვს მცირედი რამ მნიშვნელობა. ჩემი ლამპარი, როგორც მოგახსენეთ, ცმუტავს, ხან აპარპალდება, ხან დაშრტება, ხან ჩინჩხლებსა ჰყრის და მით უნებლიედ იპყრობს ჩემს ყურადღებას. რაც უფრო დაჟინებით ვუკვირდები, მით უფრო მომეტებულად მეტანება შიში: „ვაი თუ ალი შიგ აუზში ჩავარდეს და ერთბაშად იფეთქოს! მეთქი." ამავე მდგომარეობაში უნდა იყვნენ ყველანი ქუთათურები და არიან კიდევაც. აი, თუ საზოგადო მნიშვნელობა არა აქვს ჩემ ლამპარის თრთოლვას. ჩემი შიშიანობა უსაფუძვლო არ გეგონოთ, და რა მიზეზიცა აქვს, ეხლავე მოგახსენებთ.

ამ წლის მარტსა და აპრილის თვეებში ერთი თხუთმეტიოდე ადამიანი იმსხვერპლა ნავთმა. მოგითხრობთ ზოგიერთ მაგალითებს. განსვენებული ნესტორ წერეთლის სახლი ხომ ნავთის წერა იყო. გოგო აუთოებდა სარეცხს, ლამპარში ალი ჩავარდა, ლამპარი გასკდა, ნავთი გოგოს გადმოესხა და ალიც მოედვა. გაბოროტებულ გოგოს თავის თავიც დააიწყდა, არა თუ სახლი, სახლი ხისა იყო და ალი შიგ უცებ დატრიალდა. არ გასულა დიდი ხანი, რომ ნავთის წყალობით ცეცხლი გაუჩნდა ერთს მშობიარე ქალს. აი როგორ მოხდა ეს ამბავი: ბებია-ქალმა უბრძანა მსახურს გოგოს, ცეცხლი გააჩაღე საჩქაროდაო. გოგომ ცოტა ნავთი შეასხა ბუხარში და მერე შეუნთო სანათებელი. ნავთმა იბდგიალა. ქალს მოედო ცეცხლი და მერე დატრიალდა სახლში. სახლი-კი გადარჩა, მაგრამ ის სამი ქალი-კი ცეცხლმა იმსხვერპლა. აქ ბ-ნ კიზირიას ცხრა წლის ბავშვი დაეწვა ნავთის წყალობით, იქ ნიკოლაძის ბიჭს მოედვა იმავე ნივთიერების გამო ცეცხლი თავ-პირში, აქ კიდევ ს. მდივნის გოგო დაიწვა. რომელ ერთი ჩამოვთვალოთ. ყველაზედ უფრო შემაძრწუნებელი ამბავი-კი სოფლიდგან მოგვივიდა იმავე დროს. ეს ამბავი თვით ცეცხლის მსხვერპლის მამამ გვიამბო. ეს უბედური მამა გახლავთ ბ-ნი იოსებ იაშვილი, რომელსაც ჰყავდა თვრამეტის წლის გასათხოვარი ქალი, ლამაზი, წყნარის ხასიათისა და სახლში გამრჯელი. როგორც ყველა მცნობნი ამბობენ, სწორედ იშვიათი ქალი ყოფილა. საბრალო ქალი დანიშნული იყო, ერთი თუ ორი კვირა დარჩენილიყო ქორწილამდე. მამას მიეტანა ქუთაისიდგან საქორწილო კაბა და სხვა რამეები, რაც მზითევად გამოადგებოდა. ამას გარდა მამას სახლში სახმარებლად წაეღო ერთი ფუთი შეჩვენებული ნავთი. სალამოს მათ სახლობას სტუმრებიც ეწვიათ. ქალი დატრიალდა სახლში სტუმრების პატივ-საცემლად. ამ დროს გასკდა ლამპარი. იქვე იდგა ის ჭურჭელი, რომელშიაც მოტანილი ნავთი იყო. იმასაც მოეკიდა და ქალს ალი მოედვა თავით-ფეხამდე. სტუმრები და მასპინძელი ყველა დატრიალდა სახლის გადასარჩენად და ქალი-კი ყველას მიავიწყდა. როცა სახლში ცეცხლი შეაჩერეს და მოისვენეს, შემოესმათ კვნესა; გადაიხედეს სახლიდგან და თქვენმა მტერმა დაინახოს ის, რაც იმ გასათხოვარის ქალის დედ-მამამ დაინახა: მათი ასული ცეცხლში იტანჯებოდა და იწოდა. თურმე საბრალო ერთხანს მინდორში დარბოდა ალ-შემორტყმული. ზოგიერთებს კიდევაც დაენახათ, რომ ეს ცეცხლის შარავანდედი მინდორში როკავდა, მაგრამ ვერავინ მოისაზრა, თუ რა იყო. ქალს ნიჩბებით მიწა მიაყარეს ცეცხლის გასაქრობად, თითქო სიცოცხლითვე დამარხვას უპირებდნენ. როცა ქალი ამოიყვანეს, ნახეს, რომ პირი-სახე ხელ-უხლებლად შერჩენოდა, რადგან ხელებით დაეფარებინა. ორის დღის საშინელის წვალების შემდეგ ქალი გარდაიცვალა. უკანასკნელი ვედრება მისი დედის მიმართ ის იყო: ახლად მოტანილ საქორწილო კაბაში დამმარხეთო.

მე განგებ მოვყევი ასე ვრცლად ამ უბედურების ამბავს. არც ერთს ჩვენს გაზეთს, არც ქართულს და არც რუსულს, სიტყვაც არ ამოუღია ამდენ უბედურ შემთხვევაზე და ამდენნი მსხვერპლნი ადვილად ასაცილებელ მიზეზისა, ასე უდროვოდ სამარეში ჩასულნი ღირსნი იყვნენ ორიოდე სიტყვისა. ურიგო არ იქნება, ეხლა მოვიხსენიოთ იგინი და ვიკითხოთ, რა არის მიზეზი ამ სამწუხარო ამბებისა, რადგანაც შესაძლოა ყოველ დღე მოველოდეთ ამ გვარ უბედურებათა.

როგორც ვთქვი, ამოდენა უბედურება მოჰხდა მხოლოდ ორის თვეის განმავლობაში—არც წინად, არც მერმედ. ლამპრებს ჩვენ ვერ დავაბრალებთ, რადგან ეხლაც იმავე ლამპრებს ვხმარობთ, შესაძლოა ვინმე გაუფრთხილებლობა შეგვწამოს და გვითხრას—ლამპრისა და ნავთისა რა ბრალია, როცა თავს არ დაეძებთ და ცეცხლს ისე ეპყრობით, თითქო ხელში სათამაშო რამ იყოსო. ამაზედ ის უნდა მოგახსენოთ, რომ არც ისე გაუფრთხილებელნი გახლავართ; ნუ თუ ისე საძნელოა კაცმა ლამპარს და ნავთს გაუძლევს და თავი ცეცხლს არ უმსხვერპლოს? არა, ამ უბედურებათა მიზეზი მომეტებულ ნაწილად სხვა რასმე უნდა მიეწეროს და არა ჩვენს დაუდევრობას. მიზეზი, როგორც სხვა მრავალ უბედურ შემთხვევაშიაც, ისევ კაცის ანგარი გრძნობაა; ის ჩვენი მენავთენი მხოლოდ იმას მიზდევენ, რომ რაც შეიძლება მეტი გაასაღონ და არა იმასა, რომ კარგის თვისების მასალა მიაწოდონ მყიდველებს. ნავთი ისე მზა-მზარეულად არ ამოდის დედამიწის სიღრმიდგან, იმაში ბევრი რამ ნივთიერება არის და, სხვათა შორის, ჰაეროვანი ნივთიერებანიც, რომელნიც ცეცხლის ახლოს იფეთქებენ ხოლმე. ნავთის რიგიანად დასაწმენდად ჰაეროვან ნივთიერებისაგან ჰხმარობენ გოგირდის სიმჟავეს, და ის ნავთი-კი, რომელმაც ამდენი უბედურება შეგვამთხვია, როგორც ამბობენ, და ეს მართლაც ასე უნდა იყოს, ტერპენტინის საშუალებით უნდა ყოფილიყოს დაწმენდილი მენავთეთა ხარჯის შესამცირებლად. ჩვენ იმას არ გვაჯერებენ ჩვენი მენავთენი, რომ სამ აბაზ უზალთუნად და ეხლა ოთხ აბაზადაც გვაძლევენ ფუთს ნავთს, მაშინ-როდესაც იგივე ნავთი სარატოვში ცხრა შაურად იყიდება, კიდევაც გვწვავენ და გვბუგავენ ორის გროშის გამოსარჩენად.

**

ამ ნავთის ცეცხლს როგორც იქმნა გადავურჩით, ყველანი არ დავხოცილვართ, მაგრამ, შენი მტერია, ჩვენ ამბავი მოგველოდეს იმ მეორე ცეცხლისაგან, რომელიც ყოველიფერის შემომქმედიც არის და შემმუსვრელიც. მე ვამბობ მზის სიცხოველეზე. ამას წინად მეც გწერდით, რომ მოსავალს კარგი პირი უჩანს-თქო ჩვენში. სწორედ მას აქეთ დღემდის ნამი არ გადმოვარდნილა და სულ ზენა ქარი ჰქროდა; სიმინდი უტაროდ ახმა, ყურძნის მარცვალი არ დასრულდა, დასკდა და დაჭკნა.

ეხლა გიამბობთ რამდენსამე პროცესს, რომლებიც აქაურმა სამსჯავრომ გაარჩია. მართალია იმ პროცესებს პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ შიმშილთან და წლევანდელს უწვიმობასთან, მაგრამ იგინი იმოდენად საყურადღებოდ მიგვაჩნია, რომ მათზე ხმის ამოუღებლობა შეუძლებელ საქმედ ჩავთვალე.

დავიწყოთ პირველიდგან: ა) ორი ყმაწვილი კაცი დაიარებოდნენ ერთს ოჯახში, იქ ეგულებოდათ მზედ-უნახავი და ლამაზი ყმაწვილი-ქალი და ამ ქალისათვის შეუფერებელი ქმარი (მეფაიტონე). ყმაწვილები ქალს ეტრფოდნენ, ქალი მათ თანაუგრძნობდა; სასამართლოში დამტკიცდა, რომ ქალმა ერთს სადილზე თხილი შუაზედ გაჰყო, ნახევარი თვითონ შესჭამა და ნახევარი თავის ხელით იმ ყმაწვილ-კაცს ჩაუდვა პირში. ერთს სალამოს „გულ-შემატკივარი" ყმაწვილები იმ ოჯახში მივიდნენ და შესვლას ნდომულობდნენ სახლში; ცოლ-ქმარნი უკვე იწვნენ და ქმარმა კარი არ გაუღო. ყმაწვილებმა ძალით მოინდომეს შესვლა. გამოვიდა კაცი გარედ, შეიქმნა ცემა-ტყეპა და საბრალო ქმარმა მრავალი ჰკრილობა მიიღო. შესდგა საქმე და გაამართლეს ყმაწვილები... რის გამო და როგორ გაამართლეს, დაწვრილებით არ მოგითხრობთ, მხოლოდ იმას-კი ვიტყვი, რომ საზოგადოებას დღესაც ღიმილი მოსდის, როცა ეს საქმე აგონდება.

ბ) ერთს დარდიმანდს და შეძლებულს ყმაწვილ-კაცს ბრალდებოდა თამასუქის სითაღლითე. ეს დარდიმანდი ყმაწვილი დამნაშავედ იცნეს და სასჯელიც საკადრისი მიუზღვეს. საზოგადოება შესწუხდა.

გ) ერთს საპატიო ადგილზე მყოფს კაცს სასტიკი შეურაცხყოფა მიაყენეს შიგ იმ დაწესებულებაში, სადაც მსახურებს. გალანძღვას არ დააჯერეს, და ამ საზოგადო „მოღვაწეს" ერთი ორიოდე ისეთი სიტყვა მიახალეს, რომელიც პირდაპირ მის სახელს და პატიოსნებას შეეხებოდა. ეს შეურაცხყოფილი და საპატიო ადგილზე მყოფი კაცი სასამართლოში მიიქცა და ცილის-წამება იჩივლა. ყმაწვილი, რომელმაც შეურაცხჰყო, გაამართლეს და საზოგადოებამ ტაში დაჰკრა და განაჩენს სიამოვნებით მიეგება.

დ) ოთხმა ძმა-კაცმა, ხიდირბეგიშვილებმა, დაიჩემეს მამული, რომელიც მათ ბატონს, თუ მფარველს როგორც გინდათ ისე უწოდეთ, კანონით მიესაჯა. ამ მამულში წინანდელი პატრონი დახვდა მათ ოც-და-ათის კაცითურთ. ამ ოთხმა ძმა-კაცმა იმდენი სიმამაცე გამოიჩინეს, რომ სუყველანი თავ-პირ დამტვრეულები იფრინეს, თვით პატრონი დაასაჯაყეს და ერთი კაციც იქვე მოჰკლეს. შედგა საქმე. ბრალდებულნი ძმა-კაცები გაამართლეს. საზოგადოება კმაყოფილი დარჩა.

კანონი ვსთქვათ არა საჭიროებს არც ჩვენს დასტურსა, არც უკმაყოფილებას, მაგრამ თვით ჩვენთვის საინტერესოა იმ მიზეზთა გამოკვლევა, რომელთაც გამოიწვიეს საზოგადოების კმაყოფილება, ან მწუხარება. თუ იმ პროცესს ავიღებთ, რომელშიაც ყმაწვილ-კაცს თაღლითობისათვის სასჯელი განუწესეს, ადვილად მიხვდებით, თუ რისთვის შეწუხდა საზოგადოება. რა სასიამოვნოა, როდესაც ხედავ ჯან-მრთელს და სიცოცხლით სავსე ადამიანს უდროოდ გაფუჭებულსა...

დანარჩენს სამს პროცესში ხედავთ ერთის მხრით სიმამაცეს, ანუ ვითომ სიმამაცეს და მეორეს მხრით-კი ან ლაჩრობასა და ან თავ-მოყვარეობის შეუგნებლობას. სიმამაცეს ჩვენში ყოველთვის და ყოველს შემთხვევაში დიდი გასავალი ჰქონია; ეხლა-კი არავინ დაეძებს, ცუდს საქმეშია გამოყენებული, თუ არა. როგორც მოგეხსენებათ, წამოჩიტდებიან თუ არა ჩვენში ბღარები, იმ წამსვე ხანჯლებს დაიკიდებენ და ცუდად და უადგილოთ ხმარობენ; ამით მოსწონთ და მოაქვთ თავი და ის კი-არ იციან, რომ ამ ნაირი ხმარება იარაღისა მამაცობასა და მხნეობას-კი არ მოასწავებს, არამედ ლაჩრობასა და სიძაბუნეს. ჩვენში წინად შელანძღულის თავ-მოყვარეობის დასაცველად ხმალში იცოდნენ გამოწვევა. შეპარულად და მოულოდნელად-კი არ გამოკუჭავდნენ ღორსავით ერთმანერთს. იმას-კი არ ვამბობთ, რომ ხმალში გამოწვევა, ან ეხლანდელი დუელი უზენაესს სიმართლეს წარმოადგენდეს, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, რომ ბევრად სამართლიანია ჩვენებურ წარამარა ხანჯლის ტრიალზედ. სადაც ხანჯალს ნაკლებად ატრიალებენ, იქვეთ იციან ნამდვილის თავ-მოყვარეობის დაფასებაც. მაგალითებრ, არც ერთ მართლა თავ-მოყვარე კაცს ის არ მოუვიდოდა, რაც მოუვიდა ერთ ჩვენებურს ბაკისუბნელ აზნაურს, რომელიც გაამათრახა ერთმა მოხელემ. არც ის მოხდებოდა სხვაგან სადმე, როცა იმავე მოხელემ მეორე აზნაური ტყუილა-უბრალოდ შებერტყა ბაღდადში. მაშინ ის აზნაური გამოიქცა „სულში" საჩივლელად და ამბობდა ფულზე მოვურიგდებიო, თუ საკმაო სასყიდელს მომცემენო.

გურგენ

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი უბოძოთ ამ ორიოდე სიტყვას: გულითა და სულით მადლობას ვუძღვნი იმ პირთა და საზოგადოებათა, რომელთაც ჩვენის საქართველოს სოფლებიდგან მცეს პატივი და მომილოცეს ჩემის ორმოც-და-ათის წლის სამსახურის დღეობა 5 სექტემბერს.—ვერ შევიძლე ჩემის მოხუცებისა გამო თვითოეულად ყველასათვის მადლობა მომეხსენებინა.

კონსტანტინე მამაცაშვილი

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი.

I

ამ ექვსიოდე წლის წინად მე წარუდგინე ტფილისის საარხეოლოგიო კრებას რეფერატი ქართულს ანბანზედ. ამ საგანს ბევრი მხარე აქვს; მაგალითებრ: როდის მოუგონიათ ეს ანბანი, მომგონი ვინა ყოფილა, ქართველი თუ უცხო, პირველად სად დაბადებულა ეს ანბანი, სხვაგან თუ საქართველოში? შემოღების დროსვე ესრედ სრული ყოფილა და ესრე მშვენიერად შეძლებია ქართულის ხმოვანობის გამოთქმა, თუ მერმე შესულა სისრულეში? ნაკლულევანება რა ნაირი ყოფილა და როგორ უვლია სისრულემდის? ამ ანბანის წინედ ქართველებს ჰქონიათ რამ საშუალება სიტყვისა და აზრის ერთმანერთისათვის გადასაცემლად, თუ არა, და სხვა მრავალი. ისტორიულის მოწმობის უქონლობის გამო ბევრი მხარე ამ საგნისა გამხდარა იმ გამოცანად, რომელსაც თვით მეფე ედიპი ვერას უშველის; დანარჩენის გამოკვლევა-კი და შეგნება სასურველია მეცნიერების მოყვარისათვის. ხოლო ამის გამომკვლევლმა უნდა სრულებით მოიცალოს ფანტაზია, უძვირფასესი თვისება მოშაირეთა, და მიჰყოს ხელი ისტორიულ ფაქტებს და მათს აწონ-დაწონვას.

ჩემის რეფერატისათვის მე ავიღე ერთი მცირედი ნაწილი ამ საგნისა: თქმულება ქართველებისა და სომხებისა ქართულ ანბანის შემოღებაზედ. საზოგადოდ სწავლულებს, ანუ ვისაც ესე უწოდებენ და ვინც ამ საგანს შეეხებიან, მიღებული აქვთ სომხების თქმულება. ეს მე მიმაჩნდა და მიმაჩნია ჭეშმარიტების წინააღმდეგად: ჩემის რეფერატის დედა-აზრი ეს იყო. მე ფიქრადაც არ მომივიდოდა ამ საგნის საუკუნოდ გარდაწყვეტა; იმასაც ვიკმარებდი, რომ მეცნიერებს მიექციათ ჯეროვანი ყურადღება ამ საგნისათვის და ჩემზედ მცოდნეს განეხილა საქმე. მთელს საგანს მე ვერ განვიხილავდი სხვა-და-სხვა მიზეზების გამო და მათ შორის იმიტომაც, რომ საარხეოლოგიო კრება ნახევარ საათზე მეტს დროს არ იძლეოდა რეფერატის წასაკითხად. მარტო ერთი რეფერატი, კიევიდგან გამოგზავნილი, გაუსხლტა ამ გადაწყვეტილებას, ისიც იმიტომ, რომ მეტად აქებდა, ცამდინ აჰყავდა განსვენებულის უვაროვის მეცნიერება და პრეზიდენტადაც იმ რეფერატის კითხვის დროს თვით უვაროვი ბრძანდებოდა, და დამშლელი ვინ იქნებოდა. თუ ცოტათი სხვა მხარესაც შეეხო ჩემი წერილი, ამას მოითხოვდა თვით საგანი და დედა-აზრის გამორკვევა. დროების უქონლობას უნდა მიეწეროს, რომ ვერ ვახსენე, ჩემ საგანზედ მეტად ახლო მდგომარე, ფალავნური ანბანი. იქ, საცა ვადარებდი მხედრულს და ზენდურს ანბანს, უნდა მომეხსენებინა ფალავნური ანბანიც, რადგანაც ამისი ისტორია უფრო ნათელია, ვინემ ზენდისა და ჩვენ ანბანთან მგზავსებაც საკმაო აქვს.

მე ვერ გავბედე მეთქვა, რომ ქართული ანბანი ქართველს მოუგონია; ისტორიის თანახმად მე მივიღე ის ცნობა, რომ ან ქართველმა ფარნავაზმა შემოიღო სხვათა მიერ მოგონილი ანბანი, და ანუ იმის ბრძანებით შემოიღეს. ამას წინად-კი თვალი მოვკარ „ივერიის“ ერთს წერილს, საცა ნათქვამი იყო, რომ ქართული ანბანი, არა თუ უცხოთაგან შემოგვიღია, თვით ქართველმა მოიგონაო ფარნავაზამდე ცხრა ასის წლის წინად. წერილის ავტორი, თუ იმ გზას, რომელზედაც სდგას, ცოტათი კიდევ გაჰყვა, ვინ იცის, იქნება ისიც აღმოაჩინოს, რომ ყველა სხვის ანბანებიც ქართველებს მოუგონოთ.

ჩემის რეფერატის წაკითხვის შემდეგ ექვს წელიწადს გაუვლია; ამ დროს უქმად არ უნდა ჩაეარნა იმისათვის, ვინც ამ საქმეს საინტერესოდ შეჰრაცხავდა, რადგანაც ქართულისა და სომხურის დოკუმენტების გამოკვლევამ მეტი ნათელი მოჰფინა, და საზოგადოდ პალეოგრაფიაც წინწასულა და არ შეჩერებულა იმავე წერტილზედ. ეხლა რომ მოხდეს ლაპარაკი იმავე საგანზედ, რომელსაც ჩემი რეფერატი შეეხებოდა, იმავე აზრების გამოთქმა სრულიად შესანდობელი აღარ იქნება და მე თვითონ ჩემს წერილში ბევრ ნაკლულევანებას დავინახავდი. ეხლანდელი გამომკვლეველი, თუ ახალს არას დაუმატებს და იმასვე გაიმეორებს, რაც უკვე თქმულა, ეს წყლის ნაყვა გამოვა, რაც უნდა შუბლ-შეჭმუხვნით ილაპარაკოს და ათასის შენიშვნით შეკმაზოს წერილი.

ულაგო არ იქნება, აქ მოვიხსენიო ერთი მცირე გარემოება, ჩემგან ახლად შეგნებული, იმავე საგანზედ, რომელსაც ჩემი რეფერატი შეეხებოდა.

მე მქონდა მოხსენებული კორიუნის სიტყვები, მესროფის ბიოგრაფიიდგან გამოკრეფილნი, ქართულ ანბანის მოგონებაზედ. ეს ბიოგრაფია არის გადათარგმნილი ფრანგულად და დაბეჭდილი ვიქტორ ლანგლუას კრებულში. შემდეგ მე ვცან, რომ ყოფილა სხვა ვარიანტი მესროფის ბიოგრაფიისა, რომელიც იმავე კორიუნს მიეწერება და ცნობილია მით, რომ ეს უკანასკნელი გამოუქვეყნებიათ ვენეციელ მეხითარისტებს 1833 წ. ვარიანტი, ჯერ გადაუთარგმნელი, გრძლად არას მოგვითხრობს ქართულს ანბანზედ; ახსენებს მხოლოდ ფაქტს მესროფის მიერ ქართულის ანბანის შედგენისას, მაგრამ შემდეგ მოგვითხრობს მეტად შესანიშნავს ამბავს: მესროფი საქართველოდგან წავიდა ალბანიას და იქ ხელ-მეორედ განაახლა, აღადგინა იქაური ანბანიო, აგრეთვე აღადგინა დაცემული ალბანიის მეცნიერებაო. აქ შესანიშნავი ის არის, რომ წყალ-წაღებულ ალბანიას, კორიუნის სიტყვით, ჰქონია ანბანიც და მეცნიერებაც, მაშინროდესაც უფრო გამოჩენილ საქართველოს არ მიაჩემებენ ანბანსა მესროფის თანამედროვე სომეხთა მწერალნი. ამ ვარიანტს ის ღირსებაცა აქვს, რომ ასუსტებს მთელს სომხების თქმულებას ქართულის ანბანის შესახებ და საზოგადოდ აფრთხილებს მკითხველს. ვისაც ყურადღებით უკითხავს სომხის ავტორები, ადვილად მიხვდებოდა, რომ იმათ საზოგადოდ აკლიათ პირ-უთვნელობა და ხშირად დიდი ტრაბახობა. გარდა ამისა ვერავინ ვერ დაგვიმტკიცებს, რომ ამ მწერლების შრომას ჩვენამდისინ მოუღწევია შეუცვლელად: ტექსტის გარყვნა გადმომწერთაგან ნებსითი და უნებლიე არ ახალია, ძველია. შემდეგ წერილში იქნება მოხსენებული ამაზედ მეტად თვალ-საჩინო მოწმობა, საცა გამოცხადდება, რომ სომეხთა მწერალნი განზრახ გარყვნას სამღვთო წერილებისასაც არა თაკილობდნენ და საეროს აბა რას დაზოგავდნენ. ეხლა-კი დავუმატებ ერთს ისტორიულ მოსაზრებას ჩემის რეფერატის დედა-აზრის დასამტკიცებლად და ამითი გავათავებ წერილს.

ქართლის ცხოვრებიდგან ნათლად შევიგნებთ, რომ სახელებს—**სომხეთი, სომხითი** განცალკევებულს გეოგრაფიულს მნიშვნელობას ყოველთვის არ ვაძლევდით, ვრევდით ერთმანერთში, წარმოვიდგენდით ამ სიტყვების ხსენებისას როგორც მთელს სომხეთს, აგრეთვე სომხეთისა და საქართველოს შუა-მდებარე, ორისავე მომიჯნავე, პროვინციას, რომელსაც ძველი სომხური გეოგრაფია უწოდებდა გუგარქ-ად; აგრეთვე სომხები, ამავე პროვინციას უწოდებდნენ—**ივერ, ივერქ** და ამავე სახელს მიაჩემებდნენ მთელს საქართველოს. ამის მიზეზი ის იყო, რომ ეს პროვინცია ძველ დროს ხშირად გადადიოდა სომხების ხელიდგან ქართველების ხელში და ამათ ხელიდგან სომხებისაში. აქ მცხოვრები ხალხი იყო შერეული ორისავე ერისაგან, რასაც ეხლაც მოწმობენ დროსა და ჟამს გადარჩენილნი ეკკლესიანი და ნანგრევნი; მთავრებს ამ პროვინციისას სომხები უწოდებდნენ ბდეშხ-ებად და მეფეებადაც. ყაზარ პარპეცის ისტორიიდგან სჩანს, რომ ამ მთავრებსა ანუ მეფეთა შორის მეტად გავრცელებული იყო სახელი—**ბაკურ**. ხორენეცისა და კორიუნის სიტყვანი: „მესროფი წავიდა ქვეყანას, მიწას ივერთა“—შეიძლება მიეწეროს ივერიის ნაწილს—გუგარქს, სომხითს და ამ მოსაზრებათ გამოვიცნათ შინაარსი ხსენებულის მწერლების გადმოცემისა ივერიელების ანბანის შესახებ. ამ გარემოების ვრცელი და დალაგებული გამოკვლევა უქმი არ იქნებოდა.

ი. ოქრომჭედელი

(შემდეგი იქნება)

## უცხოეთი

**ბოლგარია.** „Journal des Débats“-ს სწერენ ბერლინიდამ, რომ აქ ფიქრობენ, ვითომ ფრიდრიხსრუეში მოლაპარაკებას ის შედეგი მოჰყვება, რომ ავსტრია უპირატესობას დაუთმობს რუსეთს ბოლგარიაშიო. ეს გარემოება კარგი ნიშანია იმისა, თუ რა მშვიდობის მოყვარეობით არის აღსავსე იმპერატორი ფრანც-იოსებიო.

— აი რასა სწერენ დღეშით ვენიდამ გაზ. „Новое Время“-ს 10 სექტემბრის თარიღით: იმ სიტყვა-სიტყვაში, რომელიც უნდა წარმოსთქვას ფრანც-იოსებმა უნგრეთის სეიმის მოქმედების დაწყების დროს, ნათქვამია, რომ აუცილებლად საჭიროა ჩქარა გადაწყდეს ბოლგარიის საქმეო. სიტყვა-სიტყვაში გადაკვრით ისიც არის ნათქვამი, რომ ვითომ აღარ შეიძლება მოითმინა პრინც ფერდინანდისა ბოლგარიაში. ამას ყოველსავე აზრალებენ კალნოკისა და ბისმარკის მოლაპარაკებას. უთუოდ ავსტრიამ იმიტომ იცვალა ასე აზრი, რომ ფრიდრიხსრუეში ასე გადაწყდაო. ერთი ნაწილი ავსტრიის მწერლობისა, სახელდობრ ისა, რომელიც ფერდინანდს შეჰხარის, ჯერ კიდევ მაინც იმედს არა ჰკარგავს. ეს ახალი ქარიშხალიც ვერას დააკლებს პრინცსაო, ამბობენ წარმომადგენლები ამ მწერლობისა. ურწმუნონი და ესრედ-წოდებული პესსიმისტები-კი ამბობენ, რომ აქ უთუოდ ახალი რამ მანქანებაა ბისმარკისა. უთუოდ ბისმარკი დიდს სახელმწიფოებს ნოტას დააწერინებს ფერდინანდის სახელობაზე და მოითხოვს, რომ უარ-ჰყოს ტახტი ბოლგარიის მთავრობა. ბოლგარიის მთავარი გამაგრდება, წინააღმდეგობას დაიწყებს, რუსეთი ამას ვეღარ მოითმენს, დაანებებს თავს ლონდონის პოლიტიკას და ჩაერევა საქმეშიო.

— სოფიიდამ სწერენ გაზ. „Новости“-ს, რომ საფრანგეთმა შეუთვალა თავის ელჩს ფილიპოპოლში, დაანებე თავი ბოლგარიასა და წამოდი მანდედამაო.

— პრინც ფერდინანდს განზრახვა აქვს გააძლიეროს ბოლგარიის ფლოტი დუნაის მდინარისაო.

— პრინც ფერდინანდის დედას, კლემენტინას, მიუწერია საფრანგეთში წერილები თავის ნაცნობებისათვის, სამღვდელო და საერო პირთათვის: ილოცეთ, რომ ჩემის შვილის საქმე კარგად წავიდეს ბოლგარიაშიო.

— პრინც ფერდინანდის დედას, კლემენტინას, რომელსაც დიდი შეძლება თურმე აქვს, უნდა, რომ ყოველივე თავის ქონება ბოლგარიის საქმეს მოახმაროს და თავის შვილის საქმე-კი მოაგვაროს როგორმე. შვილი ძალიან წინააღმდეგია ამისაო; სთხოვს დედას, ნუ იმეტებ ასეთს საეჭვო საქმისათვის შენს ქონებასაო, მაგრამ დედა მაინც თავისას არ იშლის და შვილის თხოვნას ყურს არ უგდებსო.

— ფერდინანდთან მისულან სადარბაზოდ ელჩნი რუმანიისა და სერბიისა. პრინცს უთქვამს, რომ დარწმუნებული ვარ, ბოლგარიის საქმე სასურველად გადაწყდებაო.

— ინგლისის ელჩს ბრძანება მისვლია თავის მთავრობისაგან, ოფიციალური მიწერ-მოწერა იქონიე პრინცთანაო. გერმანიის სადიპლომატო აგენტი ტილმანი, გერმანიაში წასვლის წინად, სადარბაზოდ მივიდა გარეშე საქმეთა მინისტრთან, დოქტორ სტრანსკისთან, და მეგობრულად გამოეთხოვა.

**საფრანგეთი.** პარიჟის მეთაური კაცები ფიქრობენ, რომ ბოლგარიის ყოფა საშიშია ევროპის მშვიდობიანობისათვისაო.

— გენერალს ბულანჟეს დიდ-ძალი წერილები მიუღია მადლობისა იმ სიტყვისათვის, რომელიც მან წარმოსთქვა ჯარის წინაშე.

— შაპტალის კოლლეგიაში გენერალს ფერონს დაუთვალიერებია სასკოლო ბატალიონი და შემდეგი სიტყვა წარმოუთქვამს ყმაწვილთა წინაშე:

„ძენო ჩემნო, თქვენა ხართ მეომარნი და მხედარნი მერმისისა; განაგრძეთ შრომა და ბეჯითობა ჩვეულებრივის ერთგულებით. გიყვარდეთ თქვენი სამშობლო. როცა გაიზრდებით, გულადად იომეთ მისთვის, გაჰკვეთა წესისამებრ, და დარწმუნებული ვარ, მოესწრებით იმ დიდის მზის ამოსვლას, რომელიც გაათბობს და გაანბრწყინვებს განახლებულს და გაბედნიერებულს საფრანგეთსა.“

— დაიწყება თუ არა საპარლამენტო სესსია, ზოგიერთის გაზეთების აზრით, მაშინვე იმ საგნის განხილვას შეუდგებიან, რომ გააძევონ საფრანგეთიდამ პრინცებიო. აქამდე გააძევეს მხოლოდ გრაფი პარიჟისა, ჰერცოგი ორლეანისა, ყოფილი ნაპოლეონი, პრინცი ვიქტორი და ჰერცოგი ომალისა და ახლა-კი განზრახვა აქვთ, რომ განდევნონ ყველანი, ვის გვარსაც-კი უმეფნია საფრანგეთშიო.

— გაზეთი „Le XIX Siècle“ ამბობს, რომ აპირობენ განდევნონ კიდევ ჰერცოგი ნემურისა, პრინცი ჟუანვილისა, ჰერცოგი შარტრისა და ჰერცოგი ალანსონისა ორლეანის გვარიდამ. ხოლო ბონაპარტის გვარიდამ განდევნიან პრინცებს ლუდვიგ ნაპოლეონს, მიურატს და როლანდ ნაპოლეონს.

## წვრილი ამბები

— პენსილვანიაში მადნის მთხრელები ძალიან გულ-მოსულნი არიან, არეულნი და მუშაობას თავს ანებებენ. ჯერ-ჯერობით 15,000 კაცია თურმე ისეთი, რომელსაც მუშაობისათვის თავი დაუნებებია.

— პაპა ლეონ XIII-ს განუზრახავს აპირებულად დაასაჩუქროს თავის სამშობლო ქალაქი, კარპინეტო. წყლის მილი უნდა გაუმართოს. ქალაქი კარპინეტო მაღლობ ადგილზეა გაშენებული და ამის გამო ხშირად არის თურმე შეწუხებული უწყლობისა გამო. ამიტომ პაპის განუზრახავს თავის ხარჯით გამოიყვანოს ამ ქალაქში წყლის მილი და შეუწირავს ამ საქმისათვის 600,000 მან. ჯერ მგონი არც ერთს ქალაქს არ მიუღია ქვეყნის პირზე ამისთანა საჩუქარი.

— წყლის სმა პურის-ჭამის, სადილობის დროს ძალიან მავნებელია, რადგან კუჭი უცივდება ადამიანს და ამიტომ სტომაქი ისე ვეღარ ინელებს, როგორც რიგი და საჭიროა. სტომაქს რეომერით 37 გრადუსი სითბო უნდა ჰქონდეს, რომ საჭმელი რიგიანად მოინელოს; ხოლო თუ ამდენი სითბო არა აქვს, ვერც საჭმელს მოინელებს და განსაკუთრებით-კი სუქანს საჭმელს. თუ ცივს წყალს დალევთ რეომერით 3—7 გრადუსამდე, მაშინ კუჭის სითბო ძალიან ძირს იწევს და დიდი ხანი უნდა გავიდეს, რომ ისევ თავის დონეზედ, ჩვეულებრივს სითბოზედ დადგეს. ბევრის წყლის სმარება მეტად აწყალებს საჭმლის მოსანელებელს საწებელს და ამიტომ უვარგისია ჭმის კუჭისათვის. ამისათვის კარგია, რომ ადამიანმა სიცხის დროს ერთი ჭიქა დალიოს სადილს ადრე, ასე ნახევარსა და ან მერთხედს საათზედ; ერთის ჭიქის წყლის დალევა სადილს წინად უხდება კიდეც კუჭსა. ვისაც ჩვეულებადა აქვს სადილისა ან ვახშმის დროს წყლის სმა, სადილს წინად უნდა დალიოს. შეუძლიან სადილს შემდეგაც დალიოს, ასე ერთს საათს შემდეგ, რადგან ამ ხანში კუჭი უკვე იმდენად ინელებს საჭმელს, რომ არა-ძალიან ცივი წყალი არ შეუშლის ხელს, არაფერს ავნებს. რაც წყალზეა ნათქვამი, ესევე ითქმის ლუდზედაც. („Herald“)

— ამას წინად სენ-კლუში განზრახვა ჰქონიათ, რომ ვოლტერის ძეგლი დაედგათ, მაგრამ ამ დროს მისწრებიან ბარბაროსებს. ბარბაროსები გაჰქცეულან და თავი დაუნებებიათ ვიბისა და თოკებისათვის. ძეგლის გვირგვინები სულ დაუმტვრევიათ თურმე და დაუგლეჯიათ, ძეგლზედ წაუწერიათ: „ძირს ვოლტერი, პრუსიელი, პრუსიის მეფეთა მექოთა-ხორა და იმათის წყალობის შემაქებელიო“. რა თქმა უნდა, რომ ამ ბარბაროსების წინააღმდეგ მთავრობას საჩივარი შეუტანია სასამართლოში.

— ბერლინის სამეფო სამკურნალო „Charite“-ში ორი საკვირველი სულით-ავადმყოფი იმყოფება ამ ჟამად. ამ ავადმყოფთ არ შეუძლიანთ, რომ ლაპარაკისა და ბაასის დროს საგნებს თავ-თავისი სახელი დაუძახონ სწორედ, და ავადმყოფები ყოველთვის იმ სიტყვას-კი არ აღმოსთქვამენ ხოლმე, რომელიც უნდათ, არამედ იმის მგზავსს. როცა ნამდვილს სახელს ეტყვის ვინმე, უკვირთ, როგორ ვერ აღმოვსთქვით ამისთანა უბრალო სახელიო. ამ სულით ავადმყოფთ იმითი არჩენენ, რომ სხვა-და-სხვა გაზეთებს აკითხებენ და წაკითხულს ამბობინებენ. ერთი ავადმყოფთაგანი უკვე რჩება თურმე

— კიდევ ცეცხლის გაჩენა თეატრში. კალეში სულ ერთიანად დამწვარა საკონცერტო დარბაზი „Variétés“-ი.

— ფილადელფიაში ამერიკის კონსტიტუციის ასის წლის დღეობა იდღესასწაულეს. დღესასწაულის მეორე დღეს სავაჭრო ბირჟაზე დიდ-ძალი ხალხი იყო შეყრილი. პრეზიდენტმა ამერიკისამ კლივლანდმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც სხვათა შორის მოიგონა, რომ დღეს ამერიკელნი მამულის-მოყვარეობის თავ-მოყვარეობაზედ გამარჯვებასა დღესასწაულობენო. „მე ბედნიერი ვიქნებოდიო,—სთქვა პრეზიდენტმა, რომ ყოველი ამერიკელი მამულის-მოყვარე იყოს, რამეთუ მამულის სიყვარულის გრძნობა ყველა გრძნობაზედ პატიოსანია, თანასაგრძნობი და ამ სიყვარულსა სწამს, რომ ქვეყნის ბედნიერება წინ-მსვლელობა და წარმატებაა ყოველ მხრივაო“.

## გასართობი

საქსენ-ვეიმარის საჰერცოგოში, ქალაქს სუეტცში, შემდეგი განცხადებაა თურმე გამოკრული საბჭოს კედელზედ: „აღკრძალულია მოედანზედ უწესოდ სიარული“. საქმე იმაშია, რომ ამ ქალაქის მცხოვრებნი ძალიან მიჩვეულან თურმე უილეტით სიარულს ქუჩა-ქუჩა, ასე რომ ქალაქის საბჭო იძულებული გამხდარა ზემოხსენებული განცხადება გამოეკრა და მოეგონებინა მკვიდრთათვის... ზრდილობა.

**

მაგრამ ავსტრალიის ერთს ექიმს უფრო მოხერხებული განცხადება დაუბეჭდია გაზეთში და ამ მხრივ საქსენ-ვეიმარის საბჭოსათვის უჯობნია. აი ეს განცხადება:

„ვპირდები ავადმყოფებს, რომ მოვარჩინო ყოველ გვარ სენისაგან; ხოლო, ყოველსავე შემთხვევაში, თუ ჩემმა წამალმა და ცოდნამ არ გასჭრა, არ იმოქმედა და ავადმყოფმა სული ღმერთს მიაბარა, გარდაცვალებულის დამარხვაზედ ნახევარს ხარჯს მე გკისრულობო“.

მგონი ამ განცხადებით ბევრი ხალხი მიიზიდოს ავსტრალიის ექიმმა, რამეთუ ის მაინც ექმნება ავადმყოფს ნუგეშად: თუ მომკლავს... დამმარხავს მაინცაო.

**

განცხადებიდგან რომ წერილების ადრესზე გადავიდეთ, დიდი ნაბიჯი არ იქნება. საქმე იმაშია, რომ პეტერბურგის ფოსტის მოხელეები ძალიან მობეზრებულნი არიან თურმე მეტის-მეტად ახირებულის ადრესების კითხვით. მაგალითებრ, აი ერთი წერილის ადრესი, რომელიც პეტერბურგის ფოსტაში მიუღიათ.

„ქ. ს.-პეტერბურგს, გოსტინის დვორიდგან დიდის ბაღის ქუჩაზედ გადით, ნიკოლსკის ხიდზედ; გაიარეთ მარცხნივ ეკატერინის ხევზედ დიდ მასტერსკოის ქუჩამდე. დიდს მასტერსკოის ქუჩაზედ რომ გახვალთ, მარჯვნივ შეუხვიეთ, გადადით ეკატერინგოფის პროსპექტზედ და პირველსავე ეზოში შედით. ამ სახლის №-რი არის მე-10, ალაყაფის კარებს პირდაპირ კიბეა, მწვანე შესავალი აქვს, მეოთხე სართულში, სადგომის №-რი მე-30-ეა, გადაეცით მისს კეთილშობილებას ლიდია ალექსანდრეს ასულს ს... საკუთარს ხელში. ძალიან საჩქაროა. თუ შინ არ იყოს, მეკარეს დაუტოვეთ“.

წარმოიდგინეთ, მკითხველო, რომ ამ ადრესის დამწერს, თუ ადრესად ამდენი გააჭრელა და გააჭიანურა, შიგ წერილში რამდენი-ღა უნდა დაეწერნა; ვინ იცის, სამასნაირი მოკითხვა შეუთვალა იმას, ვისაც წერილსა სწერდა. ძალიან გამოსადეგი იქნებოდა ეს ახირებული წერის ტრფიალი ზოგიერთს რედაქციებში, მეტადრე მაშინ, როცა მასალა შეთხელებულია და ცოტა ძევს რედაქციის კიდობანში...

**

ამას წინად იტალიის მეფე ჰუმბერტი დედოფალ მარგარიტათი და იტალიის მემკვიდრე პრინციითურთ მონცის ახლო ერთს სოფელში ყოფილა და საცეკვაო საღამოს დასწრებია. მეფე დიდის ყურადღებით ადევნებდა თურმე თვალს გაცხარებულს მოცეკვავეთა. უეცრად ცეკვის მეთაურმა და მორიგემ დაიძახა:

— ვალსი დაიწყეთ—ქალებმა სთხოვონ ვაჟებს ვალსის თამაშობა.

ერთი ახალგაზდა სოფლელი ქალი მივიდა თურმე მეფესთან და მიიპატიჟა ვალსზედ. მეფე ჰუმბერტმა გაიღიმა და ზრდილობიანადა სთქვა:

— მე, საუბედუროდ, არა ვთამაშობ და თუ შეიძლებოდეს ჩემ მაგიერ ჩემს შვილს ეთამაშეთო.

მეფემ ანიშნა თურმე პრინც ვიქტორ-ემანუელს და დაიწყეს ცეკვა-თამაშობა პრინცმა და სოფლის ახალგაზდა ქალმა. გახურებულმა მემკვიდრე პრინცმა ახლა სხვა ქალებთან ჩამოუარა თურმე და ისე კარგად ითამაშა, რომ სოფლელებმა ქება შეასხეს: „პრინცს ჩვენზედ უკეთ სცოდნია ჩამოვლა და ცეკვაო“.

# დეპეშა

17 სექტემბერი

ხარკოვი. გუბერნსკი სეკრეტარი, კონდუქტორი კოვალევსკი, და ბეჭდების მჭრელი ბეიერი, რომლებსაც ბრალდებოდათ ყალბის ოცდა-ხუთ მანათიანების გაკეთება, სასამართლომ დამნაშავებად იცნო და მიუსაჯა ყველა უფლებათა ჩამორთმევა და ციმბირის დაშორებულ ადგილებში დასახლება.

ხერსონი. აზნაურს მიასნოვოს, ხერსონის თეატრის ანტრეპრენიორად ყოფილს, მიუსაჯეს ორის კვირის ვადით დატუსაღება და ზარალის გადახდა. მიასნოვოს ბრალდებოდა დრამატიულ მწერალთა საზოგადოების წევრთა პიესების წარმოდგენა ამ საზოგადოების ნება დაურთველად.

ბელგრადი. სკუპჩინის არჩევანი მშვიდობიანად სწარმოებს; ჯერჯერობით ამორჩეულნი არიან მართველობის დასის კანდიდატები.

ბუდა-პეშტი. თავის სეფე-სიტყვაში იმპერატორმა ფრანც-იოსებმა, ვენგრიის სეიმის დაწყების დროს, სთქვა, რომ ავსტრია კარგს განწყობილებაშია სხვა სახელმწიფოებთანაო; იმედია, რომ მშვიდობიანობა დაცული იქნება, მაგრამ იმპერიის სამხედრო ძალ-ღონისა და თოფ-იარაღის გაუმჯობესობა-კი მაინცა და მაინც საჭიროაო.

18 სექტემბერი

პეტერბურგი. ოსმალეთის ელჩი შაქირ-ფაშა წავიდა ფინლიანდიის მინისტრის ვირსის სანახავად.

მეცი. შნებელეს შვილს სამის კვირით ციხე გადაუწყვიტეს.

ბელგრადი. სკუპჩინის არჩევანები სამაგალითო წესითა და რიგით სწარმოებს; 120 ოლქაში უკვე გათავდა არჩევანები. თითქმის ყველა ამორჩეულნი მთავრობის მომხრენი არიან; არც ერთი მომხრე გარაშანინისა არ ამოურჩევიათ.

პარიჟი. გამოიძიეს მიზეზები „საკომიკო ოპერის“ თეატრში ცეცხლის გაჩენის თაობაზე. ამ გამოძიების საბუთით განზრახვა აქვთ სამართალში მისცენ დირექტორი თეატრისა და ოთხი სხვა კაცი კიდევა.

ფერრიმ წარმოსთქვა სიტყვა ეპინალში და სთქვა სხვათა-შორის აუცილებელია, რომ მონარქიელებმა და რადიკალებმა გამეტებით არ დაუწყონ კიცხვა-ძაგება დღევანდელს წეს წყობილებასაო, მაგრამ დარწმუნებული ვარ ზომიერნი რესპუბლიკელნი გაუძლებენ ამ შემოტევასა, მით უმეტეს, რომ ეხლა ისეთი დრო და ჟამი დგება, როცა სხვა-და-სხვაობა აზრებისა დროებით უნდა დავთმოთო.

პეტერბურგის ბირჟა, 15-ს სექტემბერს

ფასები:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 24 |
| ტამოჟნის კუპონები | — » | — » | 179 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — » | — » | 1 32 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — » | — » | 270½ |
| — მეორისა | — » | — » | 250½ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა | 99¼ | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა | 99½ | — » | — » |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 83¾ | — » | — » |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

სექტემბერი 30 დღით არის.

**19** დღე შაბათი. წმ. მოწ. ტრაფიმესი. კათოლ. წმ. იანუარისა და მის მოწ. ამხანაგისა. მუსულ. მე-14 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49. ტფილისში მზე ამოდის 5—58, ჩადის 5—41. მთვარე 15 დღისაა.

**20** დღე კვირა. წმ. მოწ. ევსტათესი. კათოლ. წმ. ღვთის-მშობლის შვიდს წუხილზე. სომეხ. ალების ლამე წმ. ვარნავა ხაჩისა—წმ. გიორგის მარხვისა. მუსულ. მე-15 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—40. ტფილისში მზე ამოდის 5—49, ჩადის 5—39. მთვარე 16 დღისაა.

**21** დღე ორშაბათი. წმ. მოციქ. კონდრატესი. კათოლ. წმ. წინასწარ-მეტყველისა და სახარების დამწერის მათესი. სომეხ. წმ. მამანტესი, ფილიქტიმონისა და სვიმონ სიუნიკელისა. მუსულ. მე-16 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49. ტფილისში მზე ამოდის 6—0, ჩადის 5—36. მთვარე 17 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | » |
| » 2 » | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2— | 3½ | » |
| » » 3 » | 3 | |
| ჭვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა | 4 | » |
| მე-3 — | » | » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | » |
| » 2 » | 6 | » |
| სუკი | 13 | » |
| ცხვრის ხორცი | 7 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | » | » |
| » 2 » | » | » |

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 1) | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 8 | 12 | 11 | **ხამტრედია** | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| **ბეჟათუბანი** | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი** | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა** | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი** | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| **ხამტრედია** | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 5 | 8 | 7 | **გორი** | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| **ბათუმი** | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** | 10 | 15 | 10 | 46 |

**ქუთაისიდამ** გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| **ტფილისი** | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| **გორი** | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | 50 | — | — | **ტფილისი** | 8 | 21 | — | — |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთა, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდა პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

# კერძო განცხადებანი

**ქართული წერის დედანი**

ვ. გაბიჩვაძისა,

გამოცემული ი. მურადოვისაგან,

ისყიდება ქ. ქუთაისში, გამომცემლის წიგნის მაღაზიაში.

ფასი 25 კაპ.

ვინც 30 ეგზემპლიარზედ მეტს დაიბარებს, ეგზემპლიარი 20 კაპ. დაეთმობა.

იქვე ისყიდება დედანთან სახმარებელი ლიტოგრაფიაში დაბეჭდილი რვეულებიც. (10—9)

Доз. цен. Тиф. 18 сентяря, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) на Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე